გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
ვებგვერდი, 19/03/2014

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის

ბრძანება №0314/18-1

2014 წლის 18 მარტი

ქ. თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №2 დანართს, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, დაემატოს ამ ბრძანების №1 დანართში მოცემული მონაცემები.

2. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №2 დანართიდან, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, ამოღებულ იქნეს ნომერი 179.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. როინიშვილი

დანართი №1

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან						
№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/მოქალაქეობა)	ფსევდონიმი (ები), ზედმეტი სახელი(ები)	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი (ები), შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6	7
311	<u>სახელები:</u> ა) მალიკ (MALIK) ბ) მუჰამმად (MUHAMMAD) გ) იშაქ (ISHAQ) <u>დაბ.თარიღი:</u> დაახლოებით 1959 <u>დაბ. ადგილი:</u> ა) რაჰიმ იარ ხან, პუნჯაბის პროვინცია, პაკისტანი (Rahim Yar Khan, Punjab Province, Pakistan) <u>ეროვნება/მოქალაქეობა:</u> პაკისტანელი (Pakistani)	ა) მალიკ იშაქ (Malik Ishaq)	<u>პასპორტის მონაცემები:</u> <u>პირადი ნომერი:</u>	პაკისტანი (Pakistan)	14.03.14	არის ლაშკარ ი ჯჰერთის (Lashkar i Jhangvi) ერთი-ერთი დამფუძნებელი და ამჟამინდელი ლიდერი. ფიზიკური აღწერილობა: არის ფიზიკურად ძლიერი შავი ფერის თვალებით, შავი თმებით და ნახევრად ყავისფერი კანით, და ასევე მუქი შავი წვერით. ფოტო ხელმისაწვდომია ინტერპოლი - გაეროს უშიშროების საბჭოს სპეციალური განაცხადში ჩასასმელად.